ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7769677

ნომერი: AR11122163

თარიღი : 18.12.2025

გაცემის თარიღი : 13.01.2026

გაცნობის თარიღი : 13.01.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ალექსანდრე გრიბოედოვის ქუჩა, N 22;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ყარამან ქუთათელაძე პ/ნ 01008011048
- თბილისი ლ.კავსაძის ქ. N 4 ბ. 45

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- " "
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასწავლებელი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ნიკოლოზ მაღალაშვილი

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: სსიპ "აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია"
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ყარამან ქუთათელაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01008011048

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 6795488
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 8.12.2023

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2023 წლის 08 დეკემბრის №6795488 ბრძანებით მოწონებულ იქნა ქ. თბილისში (სექტორი - მთაწმინდა) ალ. გრიბოედოვის ქ. N22-ში (ძეგლი), სახელმწიფოსა და შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია“-ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე არსებულ შენობაში სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების კორექტირებული არქიტექტურული პროექტი; გაიცა უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვა და სანებართვო მოწმობა; მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 09 დეკემბრიდან 2024 წლის 09 აგვისტოს ჩათვლით;

2024 წლის 30 ივლისის AR11048430 განცხადეის საფუძველზე 2024 წლის 18 აგვისტოს № 7180802 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემულ 2023 წლის 08 დეკემბრის №6795488 ბრძანებაში, კერძოდ, ჩანაწერი: „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 09 დეკემბრიდან 2024 წლის 09 აგვისტოს ჩათვლით" შეიცვალა ჩანაწერით: ,,მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2024 წლის 15 აგვისტოდან 2025 წლის 15 აპრილის ჩათვლით“;

2025 წლის 15 აპრილს AR11087251 განცხადების საფუძველზე 2025 წლის 19 მაისის № 7483911 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემულ 2023 წლის 08 დეკემბრის №6795488 ბრძანებაში, კერძოდ, ჩანაწერი: „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 09 დეკემბრიდან 2024 წლის 09 აგვისტოს ჩათვლით" შეიცვალა ჩანაწერით: ,,მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2025 წლის 19 მაისიდან 2026 წლის 19 იანვრის ჩათვლით“.

2025 წლის 18 დეკემბერს AR11122163 განცხადებით სამსახურს მომართა მოქ. ყარამან ქუთათელაძემ, რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით მიერ 2023 წლის 08 დეკემბრის №6795488 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას.

სამსახურმა განაცხადის განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გაცემულ 2023 წლის 08 დეკემბრის №6795488 ბრძანებაში, კერძოდ, ჩანაწერი: „მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 09 დეკემბრიდან 2024 წლის 09 აგვისტოს ჩათვლით" შეიცვალოს ჩანაწერით: ,,მშენებლობის ვადა განისაზღვროს 2026 წლის 13 იანვრიდან 2026 წლის 13 სექტემბრის ჩათვლით“;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 08 დეკემბრის №6795488, 2024 წლის 15 აგვისტოს № 7180802 და 2025 წლის 19 მაისის № 7483911 ბრძანებებთან ერთად.

- სამშენებლო დოკუმენტის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს. სამსახური პასუხისმგებელია მხოლოდ მის მიერ დამოწმებული დოკუმენტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.

- თუ ნაწარმოები სამშენებლო სამუშაოები არ შეესაბამება სანებართვო დოკუმენტაციას, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო დამრღვევის მიმართ გაატარებს პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსით განსაზღვრულ

ღონისძიებას.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.